ქუთაისის
უნივერსიტეტი

დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის
რექტორის 2020 წლის 18 სექტემბრის №ძ 25
ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია
უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 7
აპრილის №ძ 51 ბრძანებით

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“

საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის რეგლამენტი

2021 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3
მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის ფორმირება და შემადგენლობა 3
მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის მიერ უფლებამოსილების განხორციელება და გადაწყვეტილების მიღება 3
მუხლი 4. კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა 5
მუხლი 5. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელება 5
მუხლი 6. დასკვნითი დებულებები 5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. რეგლამენტი არეგულირებს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტების ფორმირების, მათი სამუშაო პროცესის რეგულირების, ასევე კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებს.

2. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების, განვითარების და მასში ცვლილებების განხორციელების პროცესს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის ფორმირება და შემადგენლობა

1. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის შემადგენლობას, რომელსაც დეკანი დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.

2. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტი შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან.

3. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტს ხელმძღვანელობს/თავმჯდომარეობს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.

4. კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული პერსონალი ან მოწვეული დარგის სპეციალისტი.

5. კომიტეტის წევრობის ვადა განისაზღვრება პროგრამის კომიტეტის წევრთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

6. კომიტეტის წევრის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

7. კომიტეტის სხდომებს შესაძლებელია ესწრებოდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ(ებ)ი. კომიტეტის სხდომებზე დამსწრე სტუდენტების შერჩევის მიზნით რექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრება კონკურსის პირობები. კონკურსის ინიცირებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის მიერ უფლებამოსილების განხორციელება და გადაწყვეტილების მიღება

1. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის განახლების პროცესში რაც განსახილველად წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს.

2. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სამუშაო პერიოდულობა განისაზღვრება კომიტეტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, რასაც საფუძვლად აქვს პროგრამის შემუშავების, განახლების, მოდიფიცირების საჭიროება.

3. კომიტეტის სხდომები იმართება კომიტეტის თავმჯდომარის[1] მოთხოვნის საფუძველზე, რის შესახებაც შეტყობინება კომიტეტის წევრებისადმი უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში. კომიტეტის წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ადგენს კომიტეტის თავმჯდომარე.

4. კომიტეტის სხდომას შესაძლოა დაესწროს სხვა პირ(ებ)ი, რომლის ჩართვა პროგრამის შემუშავების, განახლების/მოდიფიცირების, გეგმიური აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში არის მიზანშეწონილი. აღნიშნული პირ(ებ)ი არ სარგებლობენ ხმის მიცემის უფლებით.

5. კომიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და განახლების მიზნით მისი მოდიფიცირების და მასში ცვლილებების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დასკვნით სხდომაზე, რომელსაც უნდა ესწრებოდეს წევრთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული დამსწრე წევრთა უმრავლესობით. კომიტეტის წესრის განსხვავებული მოსაზრება განსახილველად წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს.

6. საგანმანთლებლო პროგრამის კომიტეტის წევრთა შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე და კომიტეტის მდივანი.[2]

7. გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, კომიტეტის თავმჯდომარე გადაწყვეტილებას აცნობს ფაკულტეტის საბჭოს და წარადგენს შუამდგომლობას მის განსახილველად.

8. პროგრამის შემუშავების, განახლების/მოდიფიცირების შესახებ გადაწყვეტილება, ფაკულეტეტის საბჭოს განხილვის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე, მტკიცდება მმართველი საბჭოს მიერ უნივერსიტეტში დადგენილი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

---

[1] *კომიტეტს თავმჯდომარეობს პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.*
[2] *კომიტეტის მდივანი აირჩევა კომიტეტის წევრთა უმრავლესობით.*

მუხლი 4. კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. კომიტეტის თავმჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება თუ იგი აღარ არის პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პირი შესაძლოა ჩაერთოს კომიტეტის საქმიანობაში წევრის სტატუსით.

2. კომიტეტის წევრის მხრიდან ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი მას უწყვეტს უფლებამოსილებას.

3. კომიტეტის წევრს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი.

4. კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო განიხილავს ახალი წევრის კანდიდატურას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 5. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელება

1. კომიტეტის წევრს შეუძლია წამოაყენოს ინიციატივა რეგლამენტში ცვლილებების ან/და დამატებების განხორციელების შესახებ, რაც განსახილველად ეგზავნება ფაკულტეტის საბჭოს.

2. ნებისმიერი ტიპის ცვლილება ან/და დამატება განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე და მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. რეგლამენტი ძალაში შედის უნივერსიტეტის რექტორის მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

2. რეგლამენტში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.